ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N88

ქ.თეთრიწყარო 2023 წელი

ერთის მხრივ, **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი წიკლაურის სახით და მეორეს მხრივ შპს,, კომპანია Geosm'' (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერისთვის ფლიპჩარტი/მარკერის მაგნიტური დაფა სადგამით.ზომა 90X60 სმ.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 110.95 ლარს (ასათი ლარი და 95 ლარი), დღგ-ს ჩათვლით.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. დაფინანსების წყარო 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

“მიმწოდებელი” ვალდებულია:
3.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 კალენდარულ დღეში უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საქონლის მიწოდება ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის ქ. 34, მერიის ადმინისტრაციის შენობა.
3.2 მიმწოდებელი საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა.

“შემსყიდველი” ვალდებულია:
3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხარისხიანი საქონლის დროულად მიწოდების შემდეგ აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა დავადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშკრულების 3.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას, სახელშეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.2. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.
5.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან მოსთხოვოს დაკისრებული ჯარიმის გადახდა.
5.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას, მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
5.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.
5.6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20 %-ის ოდენობით.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს - მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან

წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8 . ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვეტის შესახებ.

8.4.მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

8.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს მერიის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.

10.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლს მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს;

10.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34
ს/კ 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

შპს კომპანია Geosm
მის: თბილისი, მ. ასათიანის ქ. 14
ს/კ404873614
ა.ნ GE45PC0223600100010827
სს პროკრედიტ ბანკი
ბ/კ MIBGGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

TETRITSKARO MUNICIPALITY
Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2023.05.31 17:38:32 +04'00'

Company GEOSM LTD
Digitally signed by Company GEOSM LTD
Date: 2023.05.31 18:05:49 +04'00'

გიორგი წიკლაური	თეიმურაზ ახობაძე
მუნიციპალიტეტის მერი	შპს კომპანია Geosm-ის დირექტორი